



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58, ტელ.: +995 599 18 24 25
ელ. ფოსტა: info.cageri@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

N 2-85
24/04/2018

85-07-4-201804241227



ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის
მომზადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-გ“, „ე-ე“, „ე-ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 76-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის (დანართი #4) შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში სამუშაო ჯგუფი) შემადგენლობით:
 - ავთანდილ უგრეხელიძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი - ჯგუფის ხელმძღვანელი;
 - გიორგი მახათაძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ჯგუფის ხელმძღვანლის მოადგილე);

- დავით გვიშიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (ჯგუფის ხელმძღვანლის მოადგილე);
 - მამუკა ლეთოდინი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი; (წევრი)
 - მზექალა ლეშაშელი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი; (წევრი)
 - ზურაბ ხეცურიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი; (წევრი)
 - სოფიო გვიშიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი; (წევრი)
 - გიორგი კვირიკაშვილი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი; (წევრი)
 - დავით ჩიქოვანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის განყოფილების უფროსი; (წევრი)
 - დავით ჩაკვეტაძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი; (წევრი)
 - გოჩა მურცხვალაძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი; (წევრი)
 - დათუნა ლეთოდინი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი; (წევრი)
2. ბრძანების პირველი მუხლით შექმნილ ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ასევე სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელმა, ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელებმა, მერის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს მათმა მუდმივმა წარმომადგენელმა.
 3. სამუშაო ჯგუფის მუშაობასი მოწვეული პირის სტატუსით მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებმა ან მათმა მუდმივმა წარმომადგენლებმა, მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრებმა.

4. „სამუშაო ჯგუფის“ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროების შემთხვევაში მიწვეულ იქნას შესაბამისი დარგის სპეციალისტები და ექსპერტები.
5. დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საბიუჯეტო კალენდარი დანართი #1-ის შესაბამისად
6. დამტკიცდეს პრიორიტეტების შედგენისათვის საბიუჯეტო ორგანიზაციების და მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოსადგენი ინფორმაციის ნუსხა დანართი - #2-დანართი #7-ის შესაბამისად;
7. დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს (მ.ლეთოდიანი) შესაბამის სამსახურების მონაწილეობით შეადგინოს:
 - ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 1) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;
 - ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;
 - გ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის;
 - დ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;
 - ე) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;
 - ვ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები.
8. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე ვაწესებ პირადად.
9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცაგერის რაიონულ სასამართლოში (ასათიანის #14).

ავთანდილ უგრეხელიძე

მუნიციპალიტეტის მერი

